თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 1

„09“ იანვარი 2018 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

გიგა ორკოდაშვილი, დავით გოგოშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, ნანა ხვისტანი, ლევან კოჭლოშვილი, ლევან ლილუაშვილი,ტიტე დარეჯანიშვილი, ალექსი ძულიაშვილი, მაია მარკოზაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ პროექტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში განხილვის შესახებ.
2. ნორმატიული აქტების მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ პროექტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ლ.კოჭლოშვილმა, ლ.ლილუაშვილმა, გ.ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ კომისიებმა და ფრაქციებმა შემჭიდროვებულ ვადებში უნდა განიხილონ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ყველა კომისიას და ფრაქციას.

<u>2.მოისმინეს:</u> ნორმატიული აქტების მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

ნ.ხვისტანმა აღნიშნა, რომ ვიდრე ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულო შეიმუშავებს ნორმატიულ აქტებს, მოქმედებს გაუქმებული მუნიციპალიტეტების აქტები, მაგრამ უმჯობესია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ამ ეტაპზე მისაღებ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით.

ნ.ხვისტანის მოსაზრებას დაეთანხმნენ ბიუროს წევრები.

<u>გადაწყვიტეს:</u> დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისაღებ შემდეგ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებით;

1. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოგილი ასიგნებების, მხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო კვალიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №05 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.
4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №04 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
6. მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული მშენებლობის) დოკუმენტების ტიპიური ფორმებისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.
7. თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ.
8. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ.

9. თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

11. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე